

გერმანიკულ ტომთა როლი ევროპის არაგერმანიკული ქვეყნების ისტორიაში¹

წინა თავში განხილული იყო ძველი გერმანიკული ტომების მიმართება თანამედროვე ევროპულ ერებთან, რომლებიც დღეს გერმანიკულ ენებზე ლაპარაკობენ და ის როლი, რაც მათ ითამაშეს ამ ერების ეთნოგენეზში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ტომების როლი ევროპის სხვა არაგერმანიკული ქვეყნების ისტორიაში. სწორედ ამ ტომებს და მათ ისტორიას დაეთმობა ეს თავი.

ევროპის ისტორიაში დიდი როლი ითამაშეს **ფრანკებმა**. როგორც წინა თავში აღინიშნა, ფრანკებად III საუკუნიდან იწოდება დასავლურგერმანიკული ისტევიონური ტომების გაერთიანება. ფრანკები იყოფოდნენ **აღმოსავლეთ ფრანკებად, რიპუარებად და დასავლეთ ფრანკებად, სალიკურ ფრანკებად, სალიუსებად**. აღმოსავლეთ ფრანკებმა გერმანელი ერის უდიდესი ნაწილი შეადგინეს. რაც შეეხება დასავლეთ ფრანკებს, V საუკუნეში დასავლეთ ფრანკები შეიჭრნენ რომანიზებული გალიის ტერიტორიაზე და იქ დააარსეს თავიანთი სამეფო, რომელსაც მოგვიანებით მათი სახელის მიხედვით **Francia** — „ფრანკების ქვეყანა“, „საფრანგეთი“ ეწოდა.

დასავლეთ ფრანკებმა ჯერ კიდევ IV საუკუნეში გადალახეს მდ. რაინი, რომელიც ადრე გერმანიას გალიისაგან ყოფდა, და თანამედროვე ბელგიის ტერიტორიაზე დასახლდნენ. V საუკუნის მიწურულს სალიკური ფრანკები თავისი მეფის **ხლოდვიგ I-ის** მეთაურობით გალიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. 486 წელს ხლოდვიგმა დაამარცხა რომის ნაცვლის, **სიაგრიუსის** ლაშქარი, რითაც რომის ბატონობას გალიაში ფაქტობრივად ბოლო მოეღო. გამოავლინა რა გარკვეული გამჭრიახობა და პოლიტიკური ინტუიცია, ხლოდვიგმა კათოლიკობა მიიღო, რის შედეგადაც სამღვდელოებისა და ადგილობრივი კათოლიკური მოსახლეობის მხარდაჭერა მოიპოვა. მის დროსვე იქნა ჩაწერილი „სალიკური სამართალი“ (Lex Salica), რომელსაც თავისი მნიშვნელობა საფრანგეთში მონარქიის გაუქმებამდე, ე.ი. საფრანგეთის

¹ ეს თავი მთლიანად ეყრდნობა გიორგი მელამის წიგნს „გერმანიკული ტომების ისტორია და კულტურა“. წიგნის ელექტრონული ვერსია განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <https://margaliti.com/25/post15.htm>

რევოლუციამდე, არ დაუკარგავს. **ხლოდვიგი** გარდაიცვალა 511 წელს პარიზში, რომელიც მან თავის რეზიდენციად აქცია. სწორედ ამ დროიდან იწყება პარიზის როლის ზრდა საფრანგეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ამ ისტორიულმა ფაქტებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე საფრანგეთის რესპუბლიკას. ფრანკთა სამეფოს შემდგომი ისტორია, ფაქტობრივად, საფრანგეთის ადრეულ ისტორიას წარმოადგენს.

ფრანკები, უნდა აღინიშნოს, რაოდენობით ბევრად ჩამოუვარდებოდნენ გალიის გალო-რომანულ მოსახლეობას, რამაც ხელი შეუწყო მათ რომანიზაციას და სრულ ასიმილაციას ადგილობრივ მოსახლეობასთან. მიუხედავად ამისა, ფრანკებმა დიდი გავლენა მოახდინეს საფრანგეთის კულტურასა და თვით ფრანგულ ენაზეც. ფრანგულში საკმაოდ მრავლადაა შესული გერმანიკული, კერძოდ ფრანკული, სიტყვები, ბევრია ფრანკული წარმომავლობის ტოპონიმები.

ხლოდვიგის სიკვდილის შემდეგ ფრანკების სახელმწიფოს ჰქონდა ისტორიის შედარებით წარუმატებელი პერიოდები, როდესაც ქვეყანა ცალკეულ ნაწილებად იშლებოდა ან თავის სამფლობელოთა გარკვეულ ნაწილს კარგავდა, და პერიოდები სიძლიერისა, როდესაც იგი ერთიანდებოდა და ახალ-ახალი მიერთებული ტერიტორიების ხარჯზე ფართოვდებოდა კიდევ, მაგრამ განსაკუთრებულ სიძლიერესა და სიდიადეს ფრანკთა სახელმწიფომ **კარლოს დიდის** მეფობისას მიაღწია.

კარლოს დიდი (ლათ. Carolus Magnus, ფრანგ. Charlemagne) იყო წარმომადგენელი **პიპინიდთა** დინასტიისა, რომელსაც მოგვიანებით მისსავე საპატივცემულოდ **კაროლინგთა** დინასტია ეწოდა. მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია 2.IV.742 - 28.I.814. კარლოსი ფრანკთა მეფე იყო 768 წლიდან. ეს მონარქი ფართომასშტაბიან დაპყრობით ომებს აწარმოებდა: ებრძოდა მავრებს ესპანეთში, შემოიერთა აღმოსავლელ ფრანკთა მიწები (მომავალი გერმანიის სახელმწიფოს ტერიტორია), დაიპყრო ლანგობარდთა სამეფო იტალიაში, 772-804 წლებში იგი ეომებოდა ევროპის ჩრდილოეთში მცხოვრები საქსების ინგვეონურ ტომს. ეს სასტიკი და სისხლისმღვრელი საომარი კამპანია საბოლოოდ საქსების დამარცხებითა და იძულებითი ქრისტიანიზაციით დამთავრდა. ამ და სხვა ომების შედეგად ფრანკთა

სახელმწიფო არნახულად გაიზარდა: კარლოს დიდის იმპერია (როგორც მას უწოდებენ ხოლმე) მოიცავდა ესპანეთის დიდ ნაწილს, მთელ დასავლეთ ევროპას (ბრიტანეთისა და სკანდინავიის გამოკლებით) და ცენტრალური ევროპის ნაწილს. თავისი ძლიერების ხაზგასასმელად კარლოს დიდი 800 წელს რომში ეკურთხა „რომის იმპერატორად“.

ინტერესს იწვევს კარლოს დიდის პიროვნება: თავისი პოლიტიკური და სამხედრო ძალმოსილების მიუხედავად იგი, თანამედროვეთა ცნობით, ცხოვრების ყაიდით, ქცევით, თავდაჭერითა და ჩაცმულობით უბრალო, უპრეტენზიო გერმანელ კაცად რჩებოდა, რომელსაც არ უყვარდა ფუფუნება და პომპეზურობა. კარლოს დიდს გვიხატავენ როგორც გერმანიკული ჩვეულებების, კანონებისა და ტრადიციების მიმდევარსა და დამცველს. საინტერესოა, რომ იგი მთელი თავისი უზარმაზარი სამფლობელოს ტერიტორიაზე აწერინებდა გერმანიკული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს: თქმულებებს, ლეგენდებს, საგმირო თუ მითოლოგიურ სიმღერებს; დაინტერესებული ყოფილა რუნებითა და რუნიკული წარწერებითაც. ამგვარად კარლოსს მეტად ვრცელი ბიბლიოთეკა შეუგროვებია. სამწუხაროდ, მთელი ეს ფოლკლორული საგანძური, რომელიც, საფიქრებელია, ჩვენამდე რომ მოედწია, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა გერმანიკულსა და მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა ჩვენს ცოდნას გერმანიკულ ხალხთა ქრისტიანობამდელი სულიერი კულტურის შესახებ, კარლოს დიდის სიკვდილის შემდეგ თითქმის მთლიანად გაანადგურა მისმა შვილმა **ლუდოვიკუს** (*ფრანგ.* ლუი — Louis) **ღვთისმოსავმა**, როგორც „წარმართული“ და „არაქრისტიანული“. კარლოს დიდის პიროვნების დასახასიათებლად საინტერესოა ის ცნობილი ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავად საკუთარი სახელის დაწერასაც გაჭირვებით ახერხებდა, ეს მონარქი განთქმული იყო, როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი. მის კარზე მოქმედებდა სწავლულთა წრე, რომელსაც, ტრადიციულად, „კარლოს დიდის აკადემიას“ უწოდებენ ხოლმე. ამ „აკადემიაში“ შედიოდა მრავალი სწავლული ევროპის არაერთი ქვეყნიდან, მათ შორის თვით შორეული შოტლანდიიდან და ირლანდიიდანაც კი.

ასევე კარლოს დიდის დროს დაიწყო კულტურული აღმავლობა, რომელსაც „კაროლინგურ აღორძინებას“ უწოდებენ.

კარლოს დიდის იმპერიას დიდხანს არ უარსებია: მისი სიკვდილის შემდეგ იგი დაიშალა. 843 წლის **ვერდენის ხელშეკრულების** თანახმად მისი ტერიტორია გაინაწილეს კარლოსის შვილიშვილებმა: **შარლ** (ან **კარლ**) **მელოტმა**, **ლუდვიგ გერმანელმა** და იმპერატორმა **ლოთარ I-მა**. **შარლ მელოტს** იმპერიის დასავლეთი ნაწილი, მომავალი საფრანგეთი, ერგო, **ლუდვიგ გერმანელს** — აღმოსავლეთი (მომავალი გერმანია), ხოლო **ლოთარს**, რომელმაც იმპერატორის ტიტული შეინარჩუნა, — იტალია და ხმელეთის ვიწრო ზოლი შარლ მელოტისა და ლუდვიგ გერმანელის სამფლობელოებს შორის. ამ ისტორიული მომენტიდან იწყება ევროპის სამი ქვეყნის: **საფრანგეთის**, **გერმანიისა** და **იტალიის** დამოუკიდებელი არსებობა. ფრანკთა სამეფოს ისტორია ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა როლი ითამაშა ფრანკების დასავლეთგერმანიკულმა ტომმა ევროპის პოლიტიკური რუკისათვის თანამედროვე სახის მიცემაში.

დასავლურგერმანიკული მოდემის ტომებიდან, გარდა ფრანკებისა, ევროპის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აგრეთვე **ლანგობარდებმა**.

ლანგობარდები ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის მდ. ელბის ქვემოწელის მარცხენა ნაპირზე ცხოვრობდნენ. მათი სამოსახლო ტერიტორია უშუალო სიახლოვეში იყო როგორც ინგვეონური, ასევე ჰერმინონული ტომების განსახლების ადგილებთან. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ლანგობარდული ენა (ჩვენამდე მოღწეული მწირი მონაცემების მიხედვით) შუალედურ ადგილს იკავებს ინგვეონურ (ანგლო-ფრიზულ) და ჰერმინონულ (თანამედროვე შვაბების, ალემანებისა და ბავარიელების წინაპართა) დიალექტებს შორის. ამდენად გაძნელებულია თავად ლანგობარდთა კლასიფიკაციაც ინგვეონებად ან ჰერმინონებად.

VI საუკუნეში ლანგობარდები, ისევე როგორც მანამდე სხვა გერმანიკული ტომები, სამხრეთისაკენ დაიძრნენ. 568 წელს ისინი მეფე **ალბოინის** (Alboin) მეთაურობით შეიჭრნენ იტალიაში და დაიკავეს ქვეყნის ჩრდილო ნაწილი და **ტუსცია** (Tuscias), თანამედროვე **ტოსკანა** (Toscana). აქ მათ დააარსეს ლანგობარდთა სამეფო, რომლის

დედაქალაქიც იყო ქ. პავია (Pavia). VII საუკუნის დამდეგისათვის ლანგობარდებმა კათოლიკობა მიიღეს, რამაც, სხვათა შორის, ხელი შეუწყო მათ რომანიზაციას. ამ დროისათვის ლანგობარდებს იტალიის ჩრდილოეთით საკმაოდ დიდი ტერიტორიები ეკავათ. ლანგობარდთა სამეფომ, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ერთეულმა, არსებობა შეწყვიტა მას შემდეგ, რაც 773-774 წლებში იგი ფრანკთა მეფე კარლოს დიდმა დაიპყრო და ფრანკთა სამეფოს შეუერთა. აღსანიშნავია, რომ ლანგობარდთა სამეფომ ორას წელზე მეტ ხანს იარსება — ბევრად უფრო დიდხანს, ვიდრე თეოდორის დიდის მიერ დაარსებულმა ოსტგოთთა სამეფომ იტალიაში.

როდესაც 843 წლის ვერდენის ხელშეკრულების შედეგად კარლოს დიდის შთამომავლებმა კარლოს დიდის იმპერია გაინაწილეს, ლანგობარდთა მიერ დაკავებული ტერიტორიები, რომელთაც ამ დროისათვის უკვე ლანგობარდიას (Langobardia) უწოდებდნენ, იტალიის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. ეთნიკური უმცირესობის როლში აღმომჩნდარმა ლანგობარდებმა საბოლოოდ დაკარგეს ენა და ეროვნული ინდივიდუალობა, რის შემდეგაც, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე შეჭრილი არაერთი სხვა გერმანიკული ტომის მსგავსად, ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყნენ. იტალიის ჩრდილოეთს კი შერჩა სახელი ლომბარდია (Lombardia), რომელიც ტოპონიმ ლანგობარდიის დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს და იტალიის ჩრდილოეთში ლანგობარდთა ყოფნის პერიოდს უკავშირდება.

არანაკლები როლი ითამაშეს აღმოსავლეთგერმანიკულმა ტომებმა ევროპის ისტორიაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან გოთები. ჩვ.წ. მესამე საუკუნეში გოთები მდ. ვისლის ქვემო დინებისა და ბალტიის ზღვის სანაპიროს რაიონიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ტრამალებში გადასახლდნენ. აქ ისინი აღმოსავლელ და დასავლელ გოთებად, ანუ ოსტგოთებად და ვესტგოთებად (სხვანაირად — ოსტროგოთებად და ვიზიგოთებად) გაიყვნენ და დაიწყეს რომის იმპერიაზე რეგულარული თავდასხმების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ამ დროიდან მოყოლებული, ისტორიულ ასპარეზზე გამოდის გოთთა ორი დიდგვაროვანი ოჯახური დინასტია: ბალტები ვესტგოთებთან და ამალები ოსტგოთებთან. შემდგომ პერიოდში გოთების თითქმის ყველა მეფე ბალტების ან

ამალების მოდგმას ეკუთვნოდა. კერძოდ, **ბალტი** იყო **ალარიხი**, რომლის მეთაურობითაც ვესტგოთებმა ჩვ.წ. 410 წელს რომი აიღეს, სახელგანთქმული **თეოდორიხი** და მისი შთამომავლები კი **ამალები** იყვნენ.


მესამე საუკუნეშივე, კერძოდ ჩვ.წ. 258 წელს, გოთების ნაწილმა ყირიმის ნახევარკუნძული დაიპყრო. ყირიმი აღმოჩნდა ადგილი, სადაც ყველაზე დიდხანს შემორჩა გოთური ენა და გოთური მოსახლეობა. ზოგიერთი ცნობების მიხედვით, ყირიმელი გოთები ადგილობრივ მოსახლეობაში საბოლოოდ მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში გაითქვიფნენ.

ვესტგოთებისაგან გამოყოფის შემდეგ **ოსტგოთებმა** ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დააარსეს საკმაოდ დიდი სამეფო, რომელსაც მათი მეფის, **ჰერმანარიხის** სახელის მიხედვით, „ჰერმანარიხის იმპერიას“ უწოდებენ ხოლმე.

ვესტგოთები, რომლებსაც ჰუნები ავიწროებდნენ, რომის იმპერიის სიღრმისაკენ დაიძრნენ. ამან კიდევ უფრო გაამწვავა პროცესები, რომლებსაც ადრეც ჰქონდა ადგილი (ლაპარაკია სხვადასხვა ტომთა შემოსევებზე რომის იმპერიის საზღვრებზე) და დასაწყისი მისცა მოვლენათა იმ წყებას, რომელსაც ეწოდება კიდევაც „ხალხთა დიდი გადასახლება“ (იხ. სურათი 1). ამ პროცესებში თანდათან ჩაერთნენ სხვადასხვა აზიურ-მონღოლოიდური (ჰუნები, ავარები), სლავური (ანტები, სკლავენები), ირანული (ალანები, სარმატები), აგრეთვე, დასავლურგერმანიკული ტომები (ფრანკები, ალემანები, მარკომანები) და სხვ., როგორც გერმანიკული, ასევე არაგერმანიკული მოდგმის ხალხები, რომელთაგანაც რომის იმპერიას სულ უფრო და უფრო უჭირდა თავის დაცვა. საბოლოოდ, ბრძოლა ზემოთ ჩამოთვლილ ტომებსა და რომს შორის დასავლეთ რომის იმპერიის დაცემით დამთავრდა. — რომი რამდენიმეჯერ იქნა აღებული **ვესტგოთების** (410 წ.), **ვანდალების** (455 წ.) და ბოლოს **ოსტგოთების** (490 წ.) მიერ, რის შემდეგაც, დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე დაარსდა სახელმწიფოები, რომლებიც დღესაც განაგრძობენ არსებობას (ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი).

489 წელს, თავისი ლეგენდარული მეფე **თეოდორიხის** მეთაურობით, ოსტგოთები იტალიაში შეიჭრნენ და 493 წ. დააარსეს იქ გოთური სახელმწიფო, რომლის დედაქალაქიც **რავენა** (ჩრდილოეთ იტალიაში) იყო. თეოდორიხი ქვეყანას რომაელი

ხალხისა და სენატის სახელით მართავდა, პატივს სცემდა რომაულ კანონებსა და ტრადიციებს და სამართლიანი მეფის სახელი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ თეოდორიხი და მისი მემკვიდრეები, ისევე როგორც, საერთოდ, გოთები, იტალიის ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სიყვარულითა და მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ეს განსაკუთრებით კარგად გოთების ბიზანტიასთან ომის დროს გამოჩნდა, როდესაც გოთების არმიის რიგებს ათასობით იტალიელი მოხალისე ავსებდა.



სურათი 1.

ოსტგოთების სამეფოს იტალიაში დიდხანს არ უარსებია. 555 წელს იგი გამოჩენილმა ბიზანტიელმა მხედართმთავარმა ველიზარიუსმა გაანადგურა.

ვესტგოთები, როგორც აღვნიშნეთ, ჰუნების შეტევებისაგან შევიწროებულნი, იძულებულნი გახდნენ დასავლეთისაკენ დაძრულიყვნენ. 410 წელს ვესტგოთებმა მათი პირველი მეფის, ალარიხის ხელმძღვანელობით შეძლეს რომის აღება. შემდგომში ისინი გალიასა და ესპანეთში შეიჭრნენ, სადაც 418 წელს ჩვ.წ. დააარსეს ტულუზის

სამეფო. ვოგლადის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ვესტგოთები იძულებულნი იყვნენ გალია ფრანკებისათვის დაეთმოთ.

ესპანეთში ვესტგოთების შეჭრით იწყება დღესაც არსებული სახელმწიფოს — ესპანეთის სამეფოს (ოფიციალურად ესპანეთი კონსტიტუციურ მონარქიას წარმოადგენს) ისტორია. თანამედროვე ესპანეთის პირველი მეფეები სწორედ ვესტგოთები იყვნენ. ესპანეთის პირველი მეფე გოთი **თიუდისი** იყო, რომელიც ქვეყანას 531-548 წლებში მართავდა. ესპანეთის მოსახლეობაც, ძირითადად, რომანიზებული იბერებისა და ვესტგოთი დიდებულების შთამომავლებისაგან შედგება. ხშირად აღნიშნავენ ხოლმე, რომ ვესტგოთების სამეფომ ესპანეთში არსებობა შეწყვიტა 711 წელს, მას შემდეგ, რაც ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი (ძირითადად, სამხრეთი რეგიონები) ჩრდილოეთ აფრიკიდან შემოჭრილმა არაბებმა და ბერბერებმა (ე.წ. „მავრებმა“) დაიპყრეს. მაგრამ ესპანეთში მავრების შეჭრა არ ნიშნავდა ვესტგოთების, როგორც ეთნოსის, აღსასრულს. მართალია ქვეყნის სამხრეთი რამდენიმე საუკუნით მავრების ხელში აღმოჩნდა, მაინც ქვეყნის ჩრდილოეთი პროვინციები თავისუფალი დარჩა, და სწორედ აქედან ესპანეთის ფეოდალები (რომელთა უმრავლესობასაც კვლავინდებურად ვესტგოთები შეადგენდნენ) და ესპანელი ხალხი მრავალი ათწლეულის მანძილზე ახორციელებდნენ ქვეყნის გასათავისუფლებლად გამიზნულ სამხედრო ოპერაციებს, რომლებიც ისტორიაში **რეკონკისტის** (ესპ. Reconquista — „ხელახალი დაპყრობა“, „ბრძოლით დაბრუნება“) სახელით შევიდა. რეკონკისტა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ესპანეთიდან მავრების სრული განდევნით დასრულდა XV საუკუნეში. ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ არაერთ ისტორიულ ნაშრომში ფეოდალები, რომლებიც რეკონკისტას ახორციელებდნენ, კვლავაც ვესტგოთებად იხსენიებიან. ვესტგოთებმა საბოლოოდ ასიმილაცია განიცადეს და გაითქვიფნენ რომანიზებულ მოსახლეობაში, რომლებიც მათ რიცხოვნობრივად ბევრად აღემატებოდა. ვესტგოთები ესპანეთის მოსახლეობის 3-4 პროცენტს შეადგენდნენ. ამდენად, გოთების ბედი ესპანეთში იგივე იყო, როგორც ფრანკებისა რომანიზებულ გალიაში. ამ მხრივ, განსხვავებული ვითარება იყო დიდ ბრიტანეთში, სადაც ანგლო-

საქსებმა მოახერხეს როგორც ეთნიკური, ისე ლინგვისტური თვითმყოფადობის შენარჩუნება და არ ასიმილირდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

ესპანეთში ვესტგოთების შეჭრის შესახებ საუბრისას აღსანიშნავია ერთი რამ: ესპანეთი (იბერია) საკმაოდ ძველი და მაღალი ცივილიზაციის ქვეყანა იყო როგორც რომაულ ოკუპაციამდე, ასევე რომის პროვინციად ქცევისა და ძლიერი რომანიზაციის დროსაც, მაგრამ პოლიტიკური სტაბილურობა ამ ქვეყნისათვის ნამდვილად არ იყო დამახასიათებელი — აჯანყებები, ომები, მომთაბარე ტომთა თუ, უბრალოდ, დამპყრობთა არმიების შემოსევანი აქ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მხოლოდ ვესტგოთებმა შეძლეს შეექმნათ იბერიის ნახევარკუნძულზე პოლიტიკურად სტაბილური, ძლიერი და თავდაცვისუნარიანი სახელმწიფო, რომელმაც გაუძლო, როგორც იტყვიან ხოლმე, ისტორიის ყველა ქარტეხილს და დღესაც განაგრძობს არსებობას ესპანეთის სამეფოს სახით.

შესამჩნევი კვალი დატოვა ევროპის ისტორიაში კიდევ ერთმა აღმოსავლეთგერმანიკულმა ტომმა, **ბურგუნდებმა**. ბურგუნდები ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროდან, ჩვ.წ. IV საუკუნეში სამხრეთისაკენ დაიძრნენ და შეიჭრნენ მდ. **მაინის** მიდამოებში, სადაც ჩვ.წ. 406 წელს დააარსეს სამეფო, რომლის დედაქალაქიც იყო **ვორმსი** (თანამედროვე გერმანიის სამხრეთ-დასავლეთში, საფრანგეთის საზღვრის მახლობლად). 437 წელს ბურგუნდების სამეფო განადგურებული იქნა ჰუნების მიერ, ქ. ვორმსი დაანგრეს. ჰუნებთან ბრძოლაში დაღუპულა ბურგუნდების მეფე **გუნდიჰარიუსი**. ამ დრამატულმა მოვლენამ სათავე დაუდო სხვადასხვა გერმანიკული ხალხების ლეგენდების, თქმულებებისა თუ საგმირო ხასიათის პოემების მთელ ციკლს („თქმულება ნიბელუნგებზე“, „უფროსი ედის“ არაერთი სიმღერა და სხვ.).

ჰუნებისაგან განცდილი გამანადგურებელი დარტყმის შემდეგ ბურგუნდებმა უფრო სამხრეთით გადაინაცვლეს და 457 წელს რომის იმპერიის პროვინცია **გალიის** ტერიტორიაზე დააარსეს სამეფო მდ. **რონის** აუზში. ბურგუნდების ამ ახალი სამეფოს ცენტრი იყო ძველი გალურ-რომაული ქ. **ლუგდუნუმი**, თანამედროვე **ლიონი** (Lyon) საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

რომანიზებული გალების გარემოცვაში მოხვედრილი ბურგუნდები თავადაც სწრაფად განიცდიდნენ რომანიზაციას. ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა მას შემდეგ, რაც ჩვ.წ. 534 წელს ბურგუნდია **მეროვინგთა** დინასტიის წარმომადგენელმა ფრანკმა მეფეებმა დაიპყრეს და თავიანთი სამეფოს ნაწილად აქციეს. ამის შემდეგ ბურგუნდია, ფაქტობრივად, ვითარდებოდა როგორც საფრანგეთის პროვინცია, ხოლო ბურგუნდები ადგილობრივი გალო-რომანული (ფრანგული) მოსახლეობის მიერ იქნენ ასიმილირებულნი და მთლიანად დაკარგეს ეთნიკური ინდივიდუალობა. ბურგუნდების ტომობრივ სახელწოდებას უკავშირდება საფრანგეთის ისტორიულ პროვინცია **ბურგუნდიის**, ანუ როგორც ფრანგები გამოთქვამენ, **ბურგონის** (Bourgogne) სახელი. ეს ის პროვინციაა, რომლის ტერიტორიაზეც ოდესღაც ბურგუნდთა სამეფო არსებობდა.

ტექსტები თავად ბურგუნდულ ენაზე, სამწუხაროდ, შემონახული არაა. დასკვნებს ბურგუნდთა ენის შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, დიდ სიახლოვეს ამჟღავნებდა გოთურთან, თანამედროვე ლინგვისტები ძირითადად ბურგუნდულ საკუთარ სახელებზე დაყრდნობით აკეთებენ.

რაც შეეხება **ვანდალებს**, ისინი დაახლოებით ძვ.წ. ბოლომდე სკანდინავიაში, კერძოდ იუტლანდიის ნახევარკუნძულსა და ზოგიერთ ახლომდებარე კუნძულზე ცხოვრობდნენ. ძვ.წ. 100 წლისათვის ვანდალები ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე (კერძოდ მდ. ოდერის რაიონში) გადასახლდნენ. ამ დროიდან ისინი სულ უფრო ხშირად ხვდებიან ანტიკურ ავტორთა ყურადღების ცენტრში.

ვანდალებმა ბევრი სამხედრო ოპერაცია აწარმოეს, მაგრამ ამ ქვეთავში რამდენიმე მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას. ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნისათვის ვანდალები სამხრეთისაკენ დაიძრნენ და რომის იმპერიის განაპირა სამფლობელოებზე დაიწყეს თავდასხმები. 406 წლისათვის ვალდალებმა **სვებების** დასავლეთგერმანიკულ ტომთან და ირანული მოდგმის მომთაბარე **ალანებთან** ერთად გადაკვეთეს მდ. რაინი და **გალიაში** შეიჭრნენ. შემოსეული ტომები გალიაში გაიფანტნენ და თითქმის სამი წლის განმავლობაში ძარცვავდნენ და არბევდნენ საკმაოდ მდიდარ და მოვლილ ქვეყანას. ამ ვითარებას ბოლო მოეღო მას შემდეგ, რაც

ჩვ.წ. 409 წელს ვანდალებმა, სვებებმა და ალანებმა **პირენეს** მთები გადალახეს, ესპანეთში შეიჭრნენ და ქვეყნის დასავლეთი და სამხრეთი რეგიონები დაიკავეს. თანამედროვე ესპანეთის სამხრეთში მდებარე საკმაოდ მოზრდილი ისტორიული ოლქის, **ანდალუსიის** (ესპ. Andalucía) სახელი სწორედ ვანდალების ესპანეთში ყოფნას უკავშირდება და ვანდალების ტომობრივი სახელწოდებიდან მომდინარეობს: *ლათ. Vandalus* — „ვანდალი“, აქედან — „ვანდალუსია“ (მოგვიანებით — „ანდალუსია“) — „ვანდალების ქვეყანა“.

ესპანეთში ვანდალებს ვესტგოთები ავიწროებდნენ. ამიტომ 429 წელს მეფე **გეიზერიხის** მეთაურობით ვანდალებმა 50-80 ათასი კაცის რაოდენობით გადაკვეთეს გიბრალტარის სრუტე და შეიჭრნენ ჩრდილო აფრიკაში, რომელიც იმ დროს ასევე რომის იმპერიის პროვინციას წარმოადგენდა. ვანდალებმა მოახერხეს ჩრდილოეთ აფრიკის დაპყრობა და იქ ვანდალთა სამეფოს დააარსეს. ამ სამეფომ თითქმის ათი წელი იარსება. ჩრდილოეთ აფრიკიდან ვანდალები გამანადგურებელ საზღვაო შემოსევებს ახორციელებდნენ დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის კუნძულებზე და სანაპირო რაიონებზე. 455 წელს ვანდალები შეესივნენ იტალიას და 2 ივნისს აიღეს ქ. **რომი**. განსხვავებით ალარიხის გოთებისაგან, რომლებმაც რომის აღებისას (410 წელს ჩვ.წ.) რელიგიურ მოსაზრებათა გამო (ვესტგოთები, ისევე როგორც, სხვათა შორის, თავად **ვანდალები** ქრისტიანები იყვნენ) დაინდეს ქრისტიანული ეკლესიები, ვანდალები დაუნდობლად, ორი კვირის განმავლობაში, ძარცვავდნენ რომს. სწორედ ამიტომ (ბევრად მოგვიანებით) ე.წ. **აღორძინების** დროს დაიწყეს მათი სახელის „კულტურის ძეგლთა გამანადგურებლების“ მნიშვნელობით ხმარება. აქედანვე მომდინარეობს სიტყვა „ვანდალიზმიც“.

ვანდალების ესოდენ მრავალრიცხოვანმა ლაშქრობებმა და დიდ ტერიტორიაზე ექსპანსიამ გამოიწვია მათი სრული ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან და სრული გაქრობა.

ამდენად, ამ თავში მოთხრობილი ისტორია გვიჩვენებს, რა როლი ითამაშეს დასავლურგერმანიკულმა ტომებმა, განსაკუთრებით ფრანკებმა ევროპის ისტორიაში, ასევე აღმოსავლეთგერმანიკულმა ტომებმა გოთებმა, ბურგუნდებმა და ვალდალებმა.

აღმოსავლეთგერმანიკული ტომების ისტორია ასევე აჩვენებს რატომ გაქრნენ ეს ტომები ევროპის ისტორიის ფურცლებიდან და მხოლოდ კვალი დატოვეს გოთური „ვერცხლის კოდექსის“, და რამდენიმე ტოპონიმის სახით, რომელიც ბურგუნდთა და ვანდალთა არსებობის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. გერმანიკულ ტომთა რომელ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ ფრანკები?
2. რომელ ორ ძირითად ტერიტორიულ ქვეჯგუფად იყოფოდა ფრანკების ტომი?
3. რა როლი ითამაშეს ფრანკებმა საფრანგეთის სახელმწიფოს დაარსებაში? რა ეტიმოლოგიური კავშირი არსებობს ფრანკების ტომობრივ სახელწოდებასა და ტოპონიმ „საფრანგეთს“ შორის?
4. რა როლი ითამაშეს საფრანგეთის ადრეულ ისტორიაში ხლოდვიგმა და კარლოს დიდმა?
5. რომელი სამი თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს დამოუკიდებელ არსებობას დაუდო საფუძველი 843 წლის ვერდენის ხელშეკრულებამ?
6. რა როლი ითამაშეს ევროპის ადრეულ ისტორიაში ლანგობარდებმა და თანამედროვე იტალიის რომელი პროვინციის სახელწოდებაშია შემონახული ამ გერმანიკული ტომის სახელი?
7. გერმანიკულ ტომთა რომელ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ გოთები, ბურგუნდები და ვანდალები?
8. რომელ ორ ძირითად ქვეჯგუფად იყოფოდნენ გოთები?
9. რა ერქვა მეფეს, რომლის ხელმძღვანელობითაც ვესტგოთებმა 410 წელს რომი აიღეს?
10. რით გაითქვა სახელი ოსტგოთების მეფე თეოდორიხმა?
11. რომელი ქალაქი იყო იტალიაში ოსტგოთების სამეფოს დედაქალაქი?

12. რა როლი ითამაშეს საფრანგეთის ისტორიაში ბურგუნდებმა და ამ ქვეყნის რომელი ისტორიული პროვინციის სახელწოდება უკავშირდება ეტიმოლოგიურად ბურგუნდების აღმოსავლეთგერმანიკულ ტომს?
13. რომელი თანამედროვე ევროპული სახელმწიფოა ვესტგოთების დაარსებული?
14. საიდან იყვნენ ვანდალები და ევროპის რომელი ქვეყნები მოიარეს მათ, სანამ ქალაქ რომს აიღებდნენ და გამარცხავდნენ? რატომ გახდა „ვანდალიზმი“ „კულტურის ძეგლების გამანადგურებლის“ აღმნიშვნელი სალანძღავი სიტყვა?
15. რა რელიგიას მისდევდნენ გოთები და ვანდალები ჩვ. წ. V საუკუნისთვის, როდესაც ამ გერმანიკულმა ტომებმა რამდენჯერმე აიღეს და გამარცხეს ქალაქი რომი?